



დოქ. დრ. იაშერ ილით



მე გყავს ნათესავეები





მოწყალე და მწყალობელი ღმერთის სახელით





დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
აეთანდილ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف تضامن و إسلام جورجيا

muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı



www.muslimgeorgia.org



info@muslimgeorgia.org



[muslim.georgia.18](https://www.facebook.com/muslim.georgia.18)



[muslim.georgia.54](https://www.facebook.com/muslim.georgia.54)



[georgiaquran](https://twitter.com/georgiaquran)



[muslim_georgia](https://twitter.com/muslim_georgia)



[muslimgeorgiaquran](https://www.instagram.com/muslimgeorgiaquran)



[muslimgeorgia](https://www.instagram.com/muslimgeorgia)



მე გყავს ნათესავები



დოქ. დი. იაშვილი ილით



რსს
გაეროს მსოფლიო
პროგრამა





ჩვენი ძვირფასი შუამავალი იძულებული იყო დაეტოვებინა მექა, სადაც ის დაიბადა, გაიზარდა, რომელიც არაერთი ღამეა მოგონების სცენა გამხდარა და გადასულიყო მედინაში... როდესაც მიაღწია ქალაქამდე, რომელმაც ის შეიკედლა, ერთერთი მის პირველ შეტყობინებათაგან იყო „ნათესაური ურთიერთობებისთვის ყურადღების მიქცევა“ ანუ, „სილაი-რაჰიმი.“ იმ დღეებში, ერთ-ერთი ძველი ებრაელი მკვლევარი, რომელმაც აირჩია ისლამი, აბდულა ბ. სელამი ყვება: „როდესაც შუამავალი მოვიდა მედინაში, ხალხი მივიდა მაის დასახვედრად. როდესაც გავიგონე შეძახილები „აღლაჰის შუამავალი მოვიდა!“, ყველასთან ერთად მეც მივედი, რათა მენახა. როდესაც დავინახე მისი სახე, მივხვდი, რომ ეს არ იყო სახე მატყუარასი. პირველი მცნება, რაც გავიგე მისგან, იყო: „ჰეი, ხალხნო! გააგრძელეთ სალამი, გაეცით საკვები, ყურადღება მიაქციეთ „სილაი-რაჰიმს“, შეასრულეთ ღოცვა, როცა ადამიანებს სძინავთ, რათა მოხვდეთ სამოთხეში მშვიდობიანად.“ (თირმიზი, სიფათულ-ყიამე, 42)





რა არის "სილაი-რაჰიმი"?

„სილაი-რაჰიმი“ ნიშნავს როგორც სისხლით, ასევე ქორწინებით შეძენილი ახლობლებისა და ნათესავების მიმართ სიკეთეს, მათზე ზრუნვას, მათით დაინტერესებას, ნათესაური კავშირების გაძლიერებას და მათი უფლებების დაცვას.

„სილაი-რაჰიმი“ რელიგიური კონცეფციაა და ამ კონცეფციაში ტერმინი „რაჰიმი“ აღებულია ალლაჰის სახელიდან „რაჰმან. (მოწყალე)“ „ჩვენი საყვარელი შუამავალი ამ ფაქტს შემდეგნაირად განმარტავს: „მწყალობელნი არიან ისინი, ვის მიმართაც გულმოწყალება აქვს „რაჰმანსაც.“ წყალობა გქონდეთ დედამიწაზე მყოფთა მიმართ, რათა ზეცაში მყოფნიც იყვნენ გულმოწყალე თქვენს მიმართ! „რაჰიმი“ (ნათესაური კავშირი) წარმოებულია „რაჰმანის“ ფესვიდან. ვინც კი შეინარჩუნებს მას, ალლაჰი შეინარჩუნებს ურთიერთობას მასთან; და ვინც მას გაწყვეტს, მაშინ ალლაჰიც გაწყვეტს ურთიერთობას მასთან.“ (თირმიზი, ბირრ და სილა, 16)



მე მყავს ნათესავები

თუკი ასეა, ნათესავური ურთიერთობა უკიდურესად ძვირფასი და ამდენადვე მნიშვნელოვანია, რომლის ერთი ბოლო მიდის მოწყალე და მწყალობელ უზენაეს ალლაჰამდე. ჩვენს ნათესავებთან დამყარებული კავშირი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის გავლენას ახდენს როგორც მსახურის, ჩვენს მიერ ალლაჰთან დამყარებულ კავშირზე. ჯანსაღი ურთიერთობა, რომელიც ჩვენ მათთან განგავითარეთ სიკეთით, ტოლერანტობით, თანაგრძნობითა და სამართლიანობით, ყველა თვალსაზრისით გაგვიხსნის გზას წყალობისკენ. აშკარაა, რომ ჩვენ გვჭირდება მოწყალება და წყალობა როგორც ინდივიდს, როგორც საზოგადოებას ან მთლიანად კაცობრიობას.

ფაქტია, რომ დროთა განმავლობაში ვხდებით მარტოხელა, მარტოსული ხალხმრავლობაში. სუსტდება ჩვენი ურთიერთობები, როგორც ჩვენს ნათესავებთან ასევე სხვა ადამიანებთან. ჩვენ, გარდა ჩვენი თავისა, დღითიდღე გუღბურილები ვხდებით ადამიანებისა და მათი პრობლემების მიმართ. სწრაფად მივიწვევთ წინ იმისაკენ, რომ მარტომ განვიცადოთ სიმშვიდე, სიხარული, მწუხარება, ყოფნა, არყოფნა. სინამდვილეში,



პრობლემები, მწუხარებები გაზიარებით მსუბუქდება, ანალოგიურად სიხარულიც უფრო მნიშვნელოვანი ხდება გაზიარებით. ჩვენი მორალის, ვაჭრობის, ხელოვნების, დასვენებისა და გართობის კულტურა, ჩვენი ადამიანური ურთიერთობები სულ უფრო და უფრო დეგრადირდება. შეიძლება ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყოს ჩვენს ფასეულობებზე დაშორება და ცხოვრების სტილი, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე სამყარო. როდესაც ვუახლოვდებით ქალაქებს ვხედავთ, რომ დასუსტებულია ოჯახური და ნათესაური ურთიერთობები ყოველდღიური ცხოვრების ქარიშხალში, მეტიც, დაკარგვის პირასაა. თუმცა ჩვენი რელიგია, ერთის მხრივ, გვიბრძანებს ჩვენს ნათესავებთან ურთიერთობების გაძლიერებას შესაძლებლობის ფარგლებში, რომ დავიცვათ და მხარი დავუჭიროთ მათ, ვისაც სჭირდება, ხოლო მეორე მხრივ, კრძალავს გავწყვიტოთ ურთიერთობები ჩვენს ახლობლებთან.

წმინდა ყურანში ნაბრძანებია: „თავიანი ეცით ალლაჰს და არავინ გაუხადოთ თანაზიარი მას. და კარგად მოეპყარით მშობლებს, ახლობლებს, ობლებს, ღატა-



კებს, მეზობლებს, ნათესავებსა და უცხო-
ებს, თანამოქმედებს, მოგზაურებს და მათ,
რომელნიც თქვენმა მარჯვენამ მოიპო-
ვა. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს, ვინც
არიან ქედმაღალნი, მედიდურნი.“ (ნისა, 4/36)
ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გარდა
ალლაჰის თაყვანისცემისა, აუცილებე-
ლია საზოგადოების სხვა წევრებთან,
რომლებსაც ესაჭიროებათ ყურადღება,
განსაკუთრებით მშობლებთან კარგი
ურთიერთობის დამყარება. განმარტებუ-
ლია, რომ ამპარტავანი ადამიანი, რომე-
ლიც თავს მიიჩნევს აღმატებულად და
მიუწვდომლად თავისი ნათესავებისგან,
არ იქნება წარმატებული. რადგან ბევ-



რი მშობელი, ნათესავი, რომელიც არის მარტო, ელოდება მეგობარს ან შვილს. ენატრება ახლობლები, რომლებიც მოიკითხავენ მათ ყოფას, ცოტათი მაინც გაიზიარებენ მათ დარდებს.

ნათესავის მონახულება: საყუთა

მისთვის თუ საყუთარი თავისთვის?

ნათესაური ურთიერთობების თბილად შენარჩუნება შესაძლებელია მათი მოკითხვით, მონახულებებით, რაც აგრძნობინებს მათ, რომ ისინი არ არიან მარტო.



მე მყავს ნათესავეები

ყურანის თანახმად, ამ მონახულებებიდან უპირატესობა ენიჭება მშობლებს. გარდა ამისა, ახლობლებიც, როგორცაა მამიდა, დეიდა, ბიძა, იმსახურებენ, რომ მოვინახულოთ, შევხვდეთ და ვესაუბროთ მათ. რასთან დაკავშირებითაც ჩვენი შუამავალი ამბობს, “ადამიანის ბიძა, მამის ნახევარია.” (თირმიზი, მენაკიბ, 28) და გვასხენებს: “დეიდა, დედის პოზიციაშია.” (თირმიზი, ბირრ, 6) მან ურჩია ადამიანს, რომელის მივიდა იმის საკითხად, რომ დიდი შეცდომა დაუშვა და რა უნდა გაეკეთებინა, რომ თავი დაეღწია ცოდვისგან. მან ურჩია, რომ მონაწილის შემდეგ თავის მშობლებს მოქცეოდა კარგად. მაგრამ როდესაც იმ კაცმა უთხრა, “ჩემი დედ-მამა გარდაიცვალნენ” მან უთხრა, „თუკი ასეა სიკეთე გაუკეთე დეიდას.“ (თირმიზი, ბირრ, 6)

მონახულებები, უპირველეს ყოვლისა გააძლიერებს ნათესავეებს შორის კავშირებს, აღმოფხვრის უკმაყოფილებას. ხელს შეუწყობს სიხარულისა და მწუხარების გაზიარებას და უზრუნველყოფს პრობლემების აღმოფხვრას. დანერგავს ნდობას. რა სამწუხაროა, რომ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ყველა სახის კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების შესაძლებლობა, არიან ადამიანები,



რომლებიც არ იცნობენ ბიძიებს, მამიდებს, დეიდებს და მათ შვილებს! არ არის ცოტა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც შეიძლება თვითონ იცნობენ, მაგრამ არ გრძნობენ საჭიროებას გაიცნონ მათი შვილები. შედეგად, ჩვენ მივედით იქამდე, რომ ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც იქნებიან ჩვენს გვერდით და დაგვეხმარებიან ჩვენ ქორწილებში, დაკრძალვებზე, სიხარულსა და მწუხარებაში. უგულვებელყოფით, როგორც ჩვენს ნათესავებს, ასევე ვართ მარტო და ვკარგავთ წყალობას. მოვინახულოთ ჩვენი ნათესავები კვირაში, თვეში ან სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც, მანძილის მიხედვით, რაც მათთან გვაშორებს. თუ პირისპირ მონახულება არ არის შესაძლებელი, მოდი გამოვიყენოთ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები, დღეს, როდესაც ესოდენ განვითარებულია კომუნიკაციის საშუალებები, მოვიკითხოთ ჩვენი ნათესავები და შევინარჩუნოთ კავშირები.

პირველ რიგში დავეხმაროთ ნათესავებს

დახმარება ნათესავებზე მათ, ვისაც ეს სჭირდებათ, ასევე არის „სილაი-რაჰი-



მე მყავს ნათესავეები

მი“ (ნათესავეების მონახულება) უპირველეს ყოვლისა, მივცემთ ჩვენს ღარიბ ნათესავეებს „ზექათი“ და „ფითრა“, ხელს შეუწყობს ჩვენი მადლის გაორმაგებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი შუამავალი ბრძანებს: „ღარიბისთვის რაიმეს მიცემა, სადაყაა (მოწყალება) ნათესავისთვის რაიმეს მიცემას კი ორი მადლი აქვს. ერთია „სადაყის“ (მოწყალების) მადლი და მეორე ნათესავის მონახულებისა და მათთვის ყურადღების მიქცევის მადლი.“ (ნესაი, ზექათ, 82) აქედან გამომდინარე, ყველაზე კარგი ჯანსაღ ნათესაურ ურთიერთობაში, შეჭირვებულ ნათესავის მონახულება, როგორც მორალური, ასევე მატერიალური დახმარება და მისი საარსებო პრობლემების შემსუბუქებაა.

ჩვენი ნათესავეების მატერიალური მხარდაჭერის მოცულობა, გარდა იმათი, ვისი მოვლაც გვევალება, იცვლება მათი ახლობლობის დონის, მათი საჭიროებების და ჩვენი მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით. „სილაი-რაჰიმი“, გამოხატავს ჩვენი ნათესავეების, მატერიალური და სულიერი, სიტყვიერი და ქმედითი სახით დახმარებას, ინტეგრაციას.

ნათესავისთვის სიკეთის გაკეთება, შეიძლება, როგორც ღარიბი ნათესავის



საჭიროებების დაკმაყოფილებით, ასევე ტკბილი სიტყვით ან ღიმილით. “შუამავლის სიტყვებით, „კეთილი სიტყვა სადაყაა (მოწყალეა)” (ბუჰარი, ჯიჰად, 128)

უფრო მეტიც, რამდენიმე კეთილი სიტყვა უფრო ღირებულა, ვიდრე ადამიანების დამამცირებელი და ღირსების შემლახველი ფინანსური დახმარება: „კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალეებაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა.“ (ბაჰარა, 2/263-264) უზენაესი ალლაჰი ნათესავების დახმარებასთან დაკავშირებით ბრძანებს: „გეკითხებიან ისინი შენ: რა გავცეთ? უპასუხე: რასაც გასცემთ, სიკეთეს - მშობლებისთვის, ახლობლებისთვის, ობლებისთვის, უპოვრებისთვის, მოგზაურებისთვის. და რა სიკეთესაც იქმთ, უეჭველად, ალლაჰი უწყის მას!“ (ბაჰარა, 2/215)

ახლობლებთან ყავშირის, შემოქმედთან
ყავშირის საუბრეებზე გააზრება

როდესაც საუბარია „სილაი-რაჰიმ-ზე“, უპირველესად გვახსენდება ჩვენს ნათესავებთან ან ახლობლებთან ურთიერთობების შენარჩუნება. თუმცა, ადამი-



მე მყავს ნათესავეები

ანმა, უნდა შეინარჩუნოს კავშირი თავის შემოქმედთანაც, რომელმაც გააჩინა ის არაფრისგან და უმასპინძლა მას უთვალავი სარჩოთი. ისედაც, ახლობლებთან არსებული კავშირი, ღმერთთან კავშირის არსებობის შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს.

ადამიანი უპირველესად უნდა დაუკავშირდეს თავის ღმერთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირველესად ის ვალდებულია არ გაწყვიტოს კავშირი ყოვლისშემძლე შემოქმედთან, რომელიც იცავს მას, არასოდეს ტოვებს მარტო და აძლევს ყველა სახის სარჩოს. რადგანაც, ადამიანი, რომელსაც გაწყვეტილი აქვს სიყვარულისა და მადლიერების კავშირი თავის უფალთან, აღარ აქვს ტოტი, რომელსაც მოეჭიდება, ადგილი, სადაც შეაფარებს თავს. ასეთი ადამიანის სხვა ადამიანებთან დამყარებული კავშირი და ერთობაც, ვერ გამოხატავს რაიმე ფასეულობას. ის, ვინც არ არის უფლის მეგობარი, როგორ შეძლებს დაამყაროს რეალური მეგობრობა? როგორ შეიძლება გამოსცადოს ურყევი ნდობა და ერთგულება საზოგადოებაში, რომელსაც აერთიანებთ სავალდებულო შეხვედრები ან ამქვეყნიური ინტერესები?



განა ღმერთთან არსებული კავშირის გაწყვეტა არ არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს პერიოდში აღნიშნულთან დაკავშირებით ინდივიდები ან საზოგადოებები განიცდიან დიდ პრობლემებს და სოციალურ დეპრესიებს? როცა საუბარია აღლაჰთან არსებულ კავშირზე, ვგულისხმობთ მისი არსებობისა და ერთობის რწმენას, შემდეგ ამ რწმენის მოთხოვნების შესრულებას. ასეთი კავშირი, უძლიერესია ყველა კავშირზე. როდესაც წმინდა ყურანი ბრძანებს, „ვინც უარყოს ტალუთი (ეშმაკი და ეშმაკისეული გზა) და იწამოს აღლაჰი, უეჭველად, ის მყარ

ჩვენი
ძვირფასი
შუამავალი
ბრძანებს: “ვისაც
სჯერა აღლაჰისა
და განკითხვის
ღღისა, შეინარჩუნოს
ურთიერთობები
ნათესავეებთან.”

(ბუჰარი, ედებ, 85)



მე მყავს ნათესავეები

საყრდენს არის ჩაჭიდებული.“ (ბაყარა, 2/256)
სწორედ ასეთ ძლიერ კავშირზე მიუთითებს.

ძალიან სერიოზული გაფრთხილებაა ჩვენს წმინდა წიგნში, მათთვის, ვინც წყვეტს კავშირებს, რომელთა დამყარება და შენარჩუნებაც საჭიროა ცხოვრებაში, პირველ რიგში ყოვლისშემძლე შემოქმედთან კავშირი. როგორც ჩანს, მათ ელოდებათ არა მხოლოდ მარტოობა და უიმედობა ამ სამყაროში, არამედ ელოდებათ სინანული და იმედგაცრუება მეორე სამყაროში: “აი ისინი (მეამბოხე ცოდვილნი - ფასიყები), რომელნიც ალლაჰზე მიცემულ აღთქმას დაარღვევენ, გაწყვიტავენ იმ ურთიერთკავშირს, რომელიც ალლაჰის ნებაა და იწვევენ დედამიწაზე არეულობასა და უზნეობას. აი, ეგენი არიან, ჭეშმარიტად, წაგებულნი.“ (ბაყარა, 2/27) მოკლედ, „სილაი-რაჰიმის“ ბირთვი არის ალლაჰისკენ მიმართული ან წარმოადგენს რწმენის კავშირს მასთან. ხოლო ვინც უარი თქვა თავიანთ რწმენაზე, არიან ისინი, ვინც გაწყვიტა გულისთ კავშირი ალლაჰთან.





ყაფიანის მეშვეობის გაბარაქიანებული სიცოცხლე

დრო ფქვავს ცხოვრებას, როგორც წისქვილი. მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა ადამიანი კედება, როცა ამისი დრო დგება. მნიშვნელოვანი არის არა სიცოცხლის ხანგრძლივობა, არამედ ის, თუ როგორ იქნა გამოყენებული. ადამიანმა უნდა ეძიოს ბარაქიანი დროები, უნდა იცოდეს, ნაყოფიერების თავის სიცოცხლეში მოწვევის გზები.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი გზა ნათესაურ ურთიერთობებში ინვესტიციის განხორციელებაა. ადამიანებს შორის ჯანსაღი, თბილი და უწყვეტი ურთიერთობები, ნათესავეების ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერა მატერიალური და სულიერი გაგებით, სიკეთისა და წყალობის კარებს გაადებს. როდესაც წყალობის შუამავალი ბრძანებს, „ვისაც სურს სიუხვე ან აღსასრულის გადავადება, შეინარჩუნოს ურთიერთობები ნათესავეებთან.“ (ბუჰარი, ედებ, 12) განა, არ შეიძლება სინამდვილეში ბარაქიანობის შესახებ მინიშნებას გვაძლევდეს?



ფაქტია, რომ ყოვლისშემძლე ალღაპის მიერ ადამიანისთვის ნაბოძები სიცოცხლე არც გახანგრძლივდება და არც შემცირდება. შუამავლის ხარება, რომ ზოგიერთი ღვთისმსახურებები და კარგი ქცევები გაახანგრძლივებს სიცოცხლეს, ატარებს უფრო ღრმა მნიშვნელობას, ვიდრე თვეების გამრავლება ან წლების გაგრძელებაა. ყოვლისშემძლე ღმერთმა წინასწარ იცის იმ ღვთისმსახურებებისა და კარგი საქმეების შესახებ, რომელიც უნდა შეასრულონ ადამიანებმა და ამ კარგი საქმეების წყალობით, კარგი ადამიანების სიცოცხლეს ახანგრძლივებს დამსახურებულად. გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც ზრუნავს თავის ნათესავზე, თავის ცხოვრებას გაატარებს ეფექტურად, ჯანსაღად და მშვიდად. რატომ უნდა, ასეთი ნაყოფიერი ცხოვრება უფრო ღირებული და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხანგრძლივი, მაგრამ შეუთავსებელი და უბედური ცხოვრება.

ნათესაური ყავშირების რეკომენდაციები

როდესაც ყურანი ბრძანებს, „ნათესავნი უფრო ახლონნი არიან ერთმანეთისა ალღაპის წიგნში.“ (ენფალი, 8/75) მიუთითებს, რომ ისინი, ვინც არიან ნათესავები, დაბა-



მე მყავს ნათესავეები

დებიდანვე, ახლობლობის დონის მიხედვითაც ერთმანეთის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ, ვიდრე სხვების მიმართ, ერთმანეთს უფრო მეტად დაცვენ. ბიოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა დაბადების კავშირი, სისხლით კავშირი და ოჯახური კავშირი, ნათესავეებს ერთმანეთთან აახლოვებს. მოკლედ, ადამიანის მიერ უპირველესად თავისი ახლობლების დახმარება ბუნების კანონია. აღნიშნული საკითხი კიდევ ერთ სხვა აიათში შემდეგნაირადაა გადმოცემული: “და მიეცი მისი კუთვნილი ნათესავს, დატაკსა და მგზავრს! მაგრამ გადაჭარბებულად არ გაფლანგო!” (ისრა, 17/26) აიათში უპირველესად ნათესავის ხსენება, არის შესხენება ნათესაური ურთიერთობის უპირატესობის შესახებ.

ნათესაობის მგრძნობელობა, არ უნდა ავურიოთ დინასტიის სიამაყისა და ქედმაღლობის მიზეზად ქცევაში. არსებითად, ასეთი გატაცება შეცდომაა, რომელიც მომდინარეობს უმეცრების ხანიდან და რომელსაც ისლამი დაუინებული ფორმით ებრძვის. განურჩევლად იმისა იქნება მოძალადე თუ ჩაგრული, საკუთარი ტომის, მოდგმის, ოჯახის წევ-

რების დაცვისა და მფარველობის ჩვევა ჩვენი რელიგიის სამართლიანობის პრინციპს ეწინააღმდეგება. რადგანაც, ყველაზე ახლობელიც რომ იყოს, ვალდებულია მოწმეობისა და გასამართლების დროს, იყოს სანდო: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი. და ეს რომც იყოს თქვენს წინააღმდეგ, ან თქვენი მშობლებისა და ნათესავების.“ (ნისა, 4/135)

როდესაც ხდება ურთიერთობა ნათესავთან ...

ჩვენი უხუცესები ამბობდნენ: “ნათესავებს შორის ჩამოვარდნილი მტრობა ტყეში გაჩენილ ხანძარს ჰგავს.“ ხანძარი, რომელიც გაძლიერდება ისე, რომ შეუძლებელია, მისი გაკონტროლება, ყველას დაწვავს, მათ ცხოვრებას გაანადგურებს, გრძნობებს დაფერფლავს. აქედან გამომდინარე, ჩვენს რელიგიაში არსებობს მრავალი ღვთიური გაფრთხილება და მუქარა, მათთვის, ვინც შეწყვეტს ნათესავებთან ურთიერთობას: „და რომელნიც არღვევენ ალლაჰისადმი



გაითვალისწინეთ,
რომ თქვენი
ოჯახი არ შედგება
მარტო დედის, მამის და
შვილებისგან. დააფასეთ
ურთიერთობა თქვენს
ახლობლებთან, გააცანით
თქვენს შვილებს
თქვენი დინასტია.



გაითვალისწინეთ,
რომ თქვენი
ოჯახი არ შედგება
მარტო დედის, მამის და
შვილებისგან. დააფასეთ
ურთიერთობა თქვენს
ახლობლებთან, გააცანით
თქვენს შვილებს
თქვენი დინასტია.

**გახსოვდეთ, ჩვენი
ნათესაური კავშირების
განყვება, გაშლილად
ჩვენს იზოლირებას!**



აღთქმას, მისი განმტკიცების შემდგომ, და წყვეტენ იმას, რაზეც უბრძანა ალ-ლაჰმა, რომ დაეცვათ, და თესავენ სიავეს დედამიწაზე, აი ეგენი, რომელთაც წყველა იწვნიეს და მათთვისაა ავი სამყოფელი!“ (რაღდი, 13/25)

ნათესავური ურთიერთობები კომპასს ჰგავს. პირის ურთიერთობები ადამიანებთან, ფორმირდება მისი ნათესავებთან არსებული ურთიერთობების მიხედვით. ის



ვინც ვერ აყალიბებს ჯანსაღ ურთიერთობებს ნათესავებთან, როგორ შეუძლია განავითაროს კარგი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან! ადამიანი, რომელსაც არ უყვარს საკუთარი თავი, არ უყვარს ნათესავები, არ უყვარს ოჯახი და ვერ უზიარებს ბედნიერებას მისთვის ყველაზე ახლობლებს, განა შეიძლება იყოს მშვიდობიანი საზოგადოების სამშენებლო აგური? საზოგადოებაში არსებული სიყვარულისა და სოლიდარობის კავშირების დარღვევა



მე მყავს ნათესავეები

იწყება ოჯახიდან, გადაედება მეზობლებს და სხვებს და საბოლოოდ დაარღვევს საზოგადოების ჰარმონიას. თუკი ასეა, ძალისხმევა იმისათვის, რომ არ დაზიანდეს ოჯახური კავშირები, ერთი გაგებით ნიშნავს საზოგადოების ცოცხლად შენარჩუნებას.

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ბრძანებს: “არ არსებობს სხვა ცოდვა, გარდა ზღვარგადასულობისა და ნათესავეებთან ურთიერთობის გაწყვეტისა, რომლის სასჯელსაც ადამიანს ალლაჰი წინასწარ უფარდებს ამქვეყნად,” (ეზუ დავუდ, ედუბ, 43) ნათესაური ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მაშინაც კი, თუ ნათესავეები არ არიან მუსლიმები, მათ შორის არსებული ნათესაური სამართლის გამო მუსლიმი ვალდებულია მოეპყროს მათ კარგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიის განსხვავებაც კი არ არის გათვალისწინებული ნათესაური ურთიერთობების შენარჩუნებაში. მიუხედავად იმისა, რომ იკრძალება მშობლებზე დამორჩილება, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ალლაჰის მიერ დადგენილი საზღვრების დარღვევას, მოთხოვნილია მათთან ჯანსაღი ურთიერთობის შენარჩუნება: „და ვუან-



დერძეთ ადამიანს მისი მშობლები. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი! და თუ ისინი დაგაძალებენ, რომ თანაზიარი გამიხადო ის, რისი ცოდნაც შენ არ გაქვს, არ დაემორჩილო და სიკეთე გამოიჩინე ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათთვის! და მიჰყევი იმათ გზას, ვინც ჩემსკენ მოისწრაფვის. ბოლოს კი ჩემთანაა თქვენი მოსაქციელი.“ (ლუკმანი, 31/14-15)

წმიდა ყურანის ეს გაფრთხილება არის ასევე ასახული ჩვენი შუამავლის დამოკიდებულებაში. მას ძალიან უნდოდა, რომ მის ბიძა ებუ თალიბს, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა მასზე ისლამი მიეღო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მან არ მიიღო ისლამი, შეინარჩუნა დადებითი ურთიერთობა ბიძასთან სიცოცხლის ბოლომდე. ანალოგიურად, ებუ ბექირის ქალიშვილმა, ესმამ, როდესაც თავისი დედა მივიდა მის სანახავად, რომელიც იყო ურწმუნო, კონსულტაცია გაიარა ჩვენს საყვარელ შუამავალთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, შუამავალმა უთხრა: „ყურადღება გამოიჩინე შენი დედის მიმართ, გაუმასპინძლდი მას.“ (ბუჰარი, ეღებ, 8)



მე გყავს ნათესავეები



გზა, რომ არ დაგვიტოვებდეს. გზის არ დაგვიტოვებდეს

ჩვენს კულტურაში გვაქვს ბევრი ღირებული ტრადიცია, ადამიან-ადამიანებს და ღონისძიებებს, რათა გაძლიერდეს ნათესაური კავშირები, რაც მიზეზი გახდება „სილამა-რამა“-სა.“ რა თქმა უნდა, უპირველესია დღესასწაულები. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანამ დღესასწაულები არ დაკარგავს ძირითად იუმორს, გაგრძელდება დროის ის მონაკვეთები,



როდესაც გამოიკვეთება გაერთიანება და სოლიდარობა როგორც ნათესავებს, ასევე საზოგადოების სხვა წევრებს შორის. ვიზიტები, რომლებიც ხორციელდება დღესასწაულებთან დაკავშირებით, ქმნის საფუძველს გულმოწყალებისა და სიყვარულის გაზიარებისა.

დღესასწაულები, საშუალებას იძლევა, რომ ინდივიდუალური მნიშვნელობით განცდილმა სიმშვიდემ ტალღების სახით მიაღწიოს მასიურ დონეს. მაგრამ გვინდა თუ არა იბადება კითხვა, აღიქმება თუ არა დღესდღეობით დღესასწაულები ასეთი სულიერი განწყობით? ჩვენ გავდივართ იმ პერიოდს, როდესაც ურთიერთობები ეფუძნება ინტერესის სფეროს, სადაც ადამიანები ხშირად ყურადღებას აქცევენ სხვებს იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს მათ ინტერესებს, მეტიც, საკუთარი თავის მაგივრად, პირველ რიგში ცდილობენ სხვების იდენტიფიცირებას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ პერიოდში, როდესაც შემცირებულია რწმენისა და მორალის გრძნობები, რის შედეგადაც ხშირად ზედა სართულზე მცხოვრები მეზობელი არ იცნობს ქვედა სართულზე მცხოვრებს, დაკარგულია ურთიერთობის კავშირები ოჯახებსა



მე მყავს ნათესავეები

და ნათესავეებს შორის, თაობებს შორის
აშენებულია სქელი კედლები.

ყველა ამ უარყოფითობის აღმოფხვრის ან მინიმუმამდე შემცირების საკითხში, არ შეიძლება „სილაი-რაჰიმის“ ეფექტისა და მნიშვნელობის უგულებელყოფა. ამ თვალსაზრისით, დღესასწაულები არ უნდა იყოს ერთმანეთისგან გაქცევის, არამედ უნდა იყოს ერთმანეთთან დაახლოების შესაძლებლობები. ყურანში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სხვადასხვა მიზეზებით ალლაჰი დაივიწყებს ყველას, ვინც სხვადასხვა მიზეზებით დაივიწყებს ალლაჰს. მაგალითად, აიათი „და ებრძანა: „დღეს დაგივიწყებთ ისევე, როგორც დაივიწყეთ შეხვედრა თქვენს დღესთან. თქვენი სადგომი იქნება ცეცხლი და არ გეყოლებათ მეოხე!“ (ჯასიე, 45/34) გადმოგვცემს, რომ ვინც ალლაჰს დაივიწყებს, ალლაჰიც დაივიწყებს მათ იმ დღეს, როდესაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ, ანუ არ დაეხმარება მათ. ეს მდგომარეობა ასეა ადამიანებისთვისაც. ნათელია, რომ ადამიანი, რომელიც დაივიწყებს, დაივიწყებენ ის ადამიანებიც, ვინც მან დაივიწყა. ის ვინც არ იქნება ადამიანების გვერდით რთულ პერიოდში, ვერ აღმოაჩენს



ვინმეს თავის გვერდით, რთულ პერიოდში.

ასე რომ, თუ ჩვენ გვსურს არ დაგვივიწყონ, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი მშობლები, მეუღლე, ჩვენი მეგობრები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომგარდა მუსლიმთა შორის ძმური უფლებებისა, ასევე არსებობს ნათესავებს შორის უფლებებიც, რომლებიც განიხილება „სილაი-რაჰიმი“ ფარგლებში. მართლაც, „სილაი-რაჰიმი“ ჰგავს ძაფს, რომელიც აკავშირებს მძივებს ერთმანეთთან. ამ კავშირის გაწყვეტა გამოიწვევს ადამიანების ერთმანეთისგან განცალკევებას და უაზრო სიცარიელეში ჩაგდებას, როგორც თითოეული მძივი, რომლებიც კუთხეებში გაიფანტა.

ყველაზე მწარე სიძულვილი ნათესავის სიძულვილია. მაშინაც კი, თუ ჩვენ ვერ ვხედავთ მის სანაცვლოს, კარგად უნდა მოვექცეთ ჩვენს ნათესავებს და არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა გაბუტვებს. როდესაც ჩვენს ნათესავებთან ვინარჩუნებთ მჭიდრო ურთიერთობას, შესაძლოა შევამჩნიოთ ადამიანები, რომელთა გამოც ჩვენი ოჯახი დაზარალებულია სხვადასხვა კუთხით. მათთან





ჩვენი
შუამავალი
ბრძანებს: “ის,
ვინც გაწყვეტს
ურთიერთობებს
ნათესავებთან,
სამოთხეში ვერ
მოხვდება”

(ბუჰარი, ეღებ, 11)



მე მყავს ნათესავები

ერთადღაც კი უნდა განვაავითაროთ ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც არ შეწყდება მისაღმება და ღოცვა, რომელიც იქნება მათი თანმდევი სიცოცხლის გარდამტეხ ფაზებში, როგორიცაა დაბადება, სიკვდილი და ქორწილი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ისეთი ქცევები, როგორიცაა ერთმანეთზე უარის თქმა, ცხოვრებიდან მთლიანად წაშლა, დაწყევლა, დააზარალებს არა მარტო ჩვენს წინაშე მყოფს ან ჩვენ, არამედ წარმოადგენს სერიოზული დაბრკოლებას ჩვენ მიერ ღმერთის მოწყალების მიღების წინააღმდეგაც. დაუშვებელია ვაჭრობა ნათესაურ ურთიერთობებზე. უნდა გავიხსენოთ ჩვენი ძვირფასი შუამავლის შემდეგი გაფრთხილება: „სილაი-რაჰიმის“ შემსრულებელი არ არის ის, ვინც კეთილგანწყობით უპასუხებს მისი ნათესავის მიერ მისთვის გაკეთებულ სიკეთეს, არამედ არის ის, ვინც უკეთებს სიკეთეს მაშინაც, კი თუ მისი ნათესავი წყვეტს მისთვის სიკეთის კეთებას (ბუჰარი, ეღებ, 15)

უდედოდ და უმამოდ დარჩენილი წყალობის შუამავალი ნათესავებმა გაზარდეს. ისიც, როდესაც გაიზარდა, ყოველთვის ერთგულად იქცეოდა თავისი



ახლობლების მიმართ და არასდროს გამოუჩენია უმადურობა. ჰზ. ჰათიჯე, მის ამ მდგომარეობას ასე იხსენებს, პირველ დღეს, როდესაც როგორც შუამავალმა მიიღო გამოცხადება, აკანკალებული მოვიდა და ითხოვა მისთვის ზემოდან საბანის დაფარება, რა დროსაც ამბობდა: „არა, არ შეშინდე! ვფიცავ, ალლაჰი არასდროს შეგარცხენს. რადგანაც შენ ყურადღებას აქცევ ნათესავებს.“ (ბუჰარი, ბედელ-ვაჰი, 1) როდესაც ისლამი ჩამოყალიბდა, ალლაჰის შუამავალი პირველად რწმენისადმი მოუწოდებდა ნათესავებს და იღვწოდა მათი სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავშირი ჩვენი ძვირფასი შუამავლის ცხოვრების მოდელია, სუნნეთია, შუამავლის მორალის ნაწილია.

შესაძლოა მოვლენები სოციალურ ცხოვრებაში არ განვითარდეს, როგორც ჩვენ ვისახავთ მიზნად და გვსურს. ზოგჯერ ნათესავებს შორისაც, შესაძლებელია იყოს უსიამოვნო შემთხვევები, სხვადასხვა მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევაში, მაშინაც კი თუ ჩვენი ნათესავი მიგვატოვებს, არ ისურვებს ჩვენთან შეხვედრას, მეტიც, არ ექნება მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს მი-



მე მყავს ნათესავეები

მართ, როგორც შეგნებული მუსლიმი, ნუ გავწყვეტთ ნათესაურ კავშირს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი ურთიერთობები ნათესავეებთან უნდა დავამყაროთ თანაგრძნობასა და მოწყალებაზე, როგორც აღლაჰის სახელის „მოწყალე“ გამოვლინება.

არასდროს დავაკნინოთ ნათესავეებისა და მეგობრების მონახულება. მოდი შევხედოთ „სილაი-რაჰიმს“, როგორც ნაბიჯს, რომელიც უნდა გახდეს ღმერთის კმაყოფილების მოპოვებისა და ჩვენი საზოგადოებრივი ერთიანობის გამტკიცების საშუალება. თუ გვაქვს შესაძლებლობა, გავუწიოთ ფინანსური დახმარება და აღმოვუჩინოთ მხარდაჭერა ჩვენს ნათესავეებს, რომლებსაც ამისი საჭიროება გააჩნიათ. დროდადრო მოვიკითხოთ ჩვენი მოხუცებული ნათესავეები და მივიღოთ მათი ღოცვა, ვისარგებლოთ მათი გამოცდილებით.

ვიყოთ ტკბილმოუბარი, მომდიმარი, მომთმენი და ტოლერანტული ჩვენი ნათესავეების მიმართ. გადავწყვიტოთ ჩვენს შორის არსებული პატარა პრობლემები, პატარა უთანხმოებები და არ დავუშვათ, რომ გაიზარდოს და გადაიქცეს



განგრენად. ნუ გავწყვეტთ მისაღმებას, ვისურვოთ მათთვისაც ის სიკეთეები, რაც ჩვენთვის გვსურს. ნურც ის დაგვა-
ვიწყდება, რომ ნათესავებთან კავშირის გაწყვეტა და მათ მიმართ ცუდი დამოკი-
დებულება, ითვლება დიდ ცოდვად. ყუ-
რი ვუგდოთ ყურანის გაფრთხილებას:
„იქნებ გწადიათ, თუკი სახეს იქცევთ,
ამით უკეთურობას დასთესთ ქვეყანაზე
და ნათესაურ კავშირებს გაწყვეტო? აი
ისინი, რომელნიც დაწყევლა ალლაჰმა.
ამგვარად წაართვა სმენა და დაუბრმავა
მხედველობა. ნუთუ ისინი ყოველმხრი-
ვად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ
გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?“ (მუ-
ჰამმედი, 47/22-24)

